ვიშეგრადის ჯგუფის საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობა ევროკავშირის საკითხებში

1. პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის (1992 წლის 31 დეკემბრამდე ჩეხოსლოვაკიის) და უნგრეთის რეგიონალურ თანამშრომლობას პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი. პირველი სამიტი ამ ქვეყნების პრეზიდენტების, პრემიერ მინისტრების, საგარეო საქმეთა მინისტრების და პარლამენტარების მონაწილეობით გაიხსნა ბრატისლავაში, 1990 წლის 9 აპრილს.

2. 1991 წლის 15 თებერვალს ვიშეგრადში მიღებულ იქნა „დეკლარაცია ჩეხეთის და სლოვაკეთის ფედერალური რესპუბლიკების, პოლონეთის და უნგრეთის რესპუბლიკების ევროპული ინტეგრაციის საკითხებში ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ“. დეკლარაციის ხელმომწერნი შეთანხმდნენ, რომ დაიწყებენ პროცესს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საფუძვლების და ახალი ფორმების შექმნით. ერთობლივ მიზნად იყო აღიარებული ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, თავდაცვის და საკანონმდებლო სისტემებში ჩართვა. 2004 წლის მაისში ხელი მოეწერა ახალ „დეკლარაციას ჩეხეთის რესპუბლიკის, უნგრეთის რესპუბლიკის, პოლონეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკის ხელშეკრულებას ვიშეგრადის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობისა და ამ ქვეყნების ევროკავშირში შესვლის თაობაზე“. ხელშეკრულების დანართში შეტანილ კონცეპციებში თანამშრომლობის მექანიზმების შესახებ გათვალისწინებულ იქნა 2003 წლის პარლამენტების თავჯდომარეების პირველი შეხვედრის რეკომენდაციები ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობაზე.

3. ვიშეგრადის ჯგუფის საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობამ მიიღო ორი ძირითადი ფორმა: თავჯდომარეებისა და ევროკაშირის საკითხების კომისიების შეხვედრები.
   თავჯდომარეების შეხვედრები ტარდება 2003 წლიდან. პირველ შეხვედრაზე, 2003 წლის 13 იანვარს, აღნიშნული იყო მდგრადი პარლამენტარული თანამშრომლობის საჭიროება, რაც უნდა გათვალისწინებულიყო ვიშეგრადის ახალ დეკლარაციაში. 2007 წლის 18 აპრილს პრაღაში პარლამენტების თავჯდომარეებმა მიიღეს შეთანხმება ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების პარლამენტარულ დონეზე ინსტიტუციონალიზაციის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პარლამენტების თავჯდომარეთა რეგულარული შეხვედრები ჩატარდება წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე, ქვეყანაში, რომელიც ვიშეგრადის ჯგუფის თავჯდომარეს წარმოადგენს. გარდა ამისა, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებისათვის გადაუდებელი საკითხის არსებობის შემთხვევაში, თითოეულ თავჯდომარეს აქვს უფლება მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.
   პარლამენტარული კომისიების დონეზე შეხვედრებს ესწრებოდნენ საგარეო კომისიების და თავდაცვის კომისიების თავჯდომარეები. პირველ შეხვედრაზე,

ბუდაპეშტში, 1998 წლის თებერვალში მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტების მდგრად და სისტემატიურ თანამშრომლობას ევროკავშირში შესვლის საკითხებში. 2000 წლიდან შეხვედრებს ესწრებიან ევროპული ინტეგრაციის კომისიების თავჯდომარეები. ევროკავშირის საკითხთა კომისიების თავჯდომარეების პირველ ცალკეულ შეხვედრას ადგილი ჰქონდა 2005 წლის იანვარში. ამ დროიდან ევროკავიშირის საკითხთა კომისიების შეხვედრები ჩვეულებრივ წელიწადში ორჯერ ტარდება, ვიშეგრადის ჯგუფის თითოეულ ქვეყანაში თანმიმდევრულად.

4. ევროკავშირის საკითხების კომისიების შეხვედრების ბოლოს ღებულობენ დადგენილებებს ან განცხადებებს, რომელიც იგზავნება COSAC -ის სამდივნოში და სავარაუდოდ ევროპის შესაბამის ინსტიტუციებში.
   თავჯდომარეების ზოგიერთი შეხვედრის შემთხვევაში იღებენ საბოლოო დოკუმენტს (ერთობლივი განცხადება, მემორანდუმი, დეკლარაციები), რომელიც შემდგომში გადაეცემა COSAC-ის სამდივნოს. დოკუმენტები შედგენილია ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებულია ვიშეგრადის ჯგუფის და COSAC-ის ვებ გვერდებზე და პოლონურ ენაზე თარგმანთან ერთად - OIDE-ის ვებ გვერდზე.

5. საპარლამენტთაშორისო შეხვედრები ვიშეგრადის ჯგუფის ფარგლებში წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარების არენას. აგრეთვე ხელს უწყობს შეხედულებების გაზიარებას, პოზიციების შეთანხმების, ერთობლივ ინიციატივებს. აქამდე შეხვედრებზე განიხილავდნენ: ეროვნული პარლამენტების კომპეტენციებს ევროკავშირის, ენრგოენერგიის უსაფრთხოების, აღმოსავლეთის პარტნიორობის, ევროკავშირის საგადასახადო პოლიტიკის, ერთობის პოლიტიკის, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის საკითხებს. გარდა ამისა ვიშეგრადის ჯგუფის პარლამენტები მხარს უჭერენ სხა ქვეყნების პარლამენტებთან თანამშრომლობას, V4+ პროგრამასთან შესაბამისად (ღია ხასიათის, ფართო რეგიონალური თანამშრომლობის სახელი) აგრეთვე მეზობლურ ევროპულ პოლიტიკას.

   - <u>ჩეხეთის და სლოვაკეთის ფედერალური რესპუბლიკის, პოლონეთისა და უნგრეთის რესპუბლიკის ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაცია ევროპული ინტეგრაციის საკითხებში.</u> 1991 წლის 15 თებერვალი. http://www.visegradgroup.eu/main.php?folderID=940&articleID=3940&ctag=articlelist&iid=1
   - <u>ჩეხეთის რესპუბლიკის, უნგრეთის რესპუბლიკის, პოლონეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკის დეკლარაცია ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობისა და ამ ქვეყნების ევროკავშირში შესვლის საკითხებში, Kroměříž, 12.05.2004</u> (<u>ინგ. ენა</u>) http://www.visegradgroup.eu/download.php?ctag=download&docID=35
   - <u>პარლამენტთა თავჯდომარეების შეთანხმება ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების პარლამენტარულ დონეზე ინსტიტუციონალიზაციის შესახებ, პრაღა,</u> 18.04.2007

http://oide.sejm.gov.pl/oide/en/images/files/international/porozumienie_wyszehrad_en.pdf

- ვიშეგრადის ჯგუფის ვებ გვერდი
  http://www.visegradgroup.eu/main.php?folderID=859
- ინფორმაცია OIDE-ს ვებ გვერდზე
  http://oide.sejm.gov.pl/oide/en/index.php?option=com_content&view=article&id=300&Itemid=30

განახლებულია: 08.03.2011